

შპს „ენერგოტრანსის“ მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვების წესი

მუხლი 1. წესის მოქმედების სფერო

1. შპს „ენერგოტრანსის“ მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვების წესი (შემდგომში – წესი) ვრცელდება შპს „ენერგოტრანსის“ მიერ განსახორციელებელ ყველა სახის შესყიდვაზე გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული შესყიდვებისა.

2. შესყიდვების განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW), ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურები, თუ ეს ორგანიზაციები არიან შესყიდვების განხორციელებასთან/დაფინანსებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი.

3. ეს წესი არ ვრცელდება:

ა) ელექტროენერჯის, გარანტირებული სიმძლავრის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების შესყიდვებზე;

ბ) უძრავი ქონების შესყიდვასთან, ასევე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ შესყიდვებზე;

გ) ტელერადიოეთერის დროის შესყიდვასთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით რეკლამის გავრცელებასთან და შეხვედრების ჩასატარებლად შესაბამისი ფართობი დაქირავებასთან დაკავშირებულ შესყიდვებზე.

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების შესყიდვაზე.

მუხლი 2. შესყიდვების ძირითადი პრინციპები

შპს „ენერგოტრანსის“ შესყიდვების განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

ა) შესყიდვების განხორციელების აუცილებლობა;

ბ) რაციონალური არჩევანი;

გ) საჯაროობა და ტრანსფარენტულობა;

დ) პოტენციურ მონაწილეთა მიმართ შესაძლებლობათა გამოხატვის თანასწორი გარემო პირობების ფორმირება და ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

ე) საზოგადოებრივი ნდობის გარემოს ფორმირება;

ვ) ეკონომიკური ეფექტიანობა.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შემსყიდველი ორგანიზაცია – შპს „ენერგოტრანსის“;

ბ) შესყიდვის ობიექტი – შესასყიდი საქონელი, მომსახურება ან სამშენებლო სამუშაო;

გ) საქონელი – ნებისმიერი სახისა და აღწერილობის ქონება (გარდა უძრავი ქონებისა), როგორც მყარ, ისე თხევად ან აირად მდგომარეობაში, აგრეთვე საქონლის მიწოდების თანმდევი მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება საქონლის ღირებულებას.

დ) სამშენებლო სამუშაო (შემდგომში – სამუშაო) – შენობის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან, ნგრევასთან, რემონტთან ან განახლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო (მათ შორის, სამშენებლო მოედნის მოწყობა, გრუნტის ამოღება, შენობის ან ნაგებობის აგება-აშენება, აღჭურვილობის მონტაჟი, მოპირკეთება და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მშენებლობასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ქსელების მოწყობის სამუშაოები), აგრეთვე მშენებლობის თანამდევი მომსახურება, როგორცაა ბურღვა, გეოდეზიური სამუშაოები, კოსმოსური და აეროგადაღება, სეისმური კვლევა და შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ანალოგიური მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება სამშენებლო სამუშაოს ღირებულებას;

ე) მომსახურება – შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, საქონლისა და სამუშაოს გარდა;

ვ) შესყიდვების გეგმა – შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმა;

ზ) პრეტენდენტი – საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელმაც წარადგინა ოფერტი ფასთა გამოკითხვის პროცედურაში ან სატენდერო წინადადება ტენდერის პროცედურაში;

თ) მიმწოდებელი – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ;

ი) ფასთა გამოკითხვა – შესყიდვის საშუალება, რომლის დროსაც საქონლის, სამუშაოს და მომსახურების შესყიდვებისათვის დასაშვებია წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვაჭრობა და გადაწყვეტილების მისაღებად ძირითადად განმსაზღვრელია ფასის კრიტერიუმი, თუმცა, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, დასაშვებია შეფასების სხვა კრიტერიუმების გამოყენება იმ პირობით, რომ სხვა კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტები ცალ-ცალკე ან ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ფასის კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტს;

კ) გამარტივებული შესყიდვა – შესყიდვის საშუალება, როდესაც დასაშვებია მიმწოდებლის პირდაპირი შერჩევა;

ლ) გადაუდებელი აუცილებლობა – ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფოებრივ ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას;

მ) საფასური – ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ამ წესით განსაზღვრული შპს „ენერგოტრანსის“ ანგარიშზე გადასახდელი სავალდებულო თანხა, რომელიც რჩება შემსყიდველი ორგანიზაციის განკარგულებაში;

ნ) დღე, კვირა, თვე, კვარტალი, წელი – კალენდარული დღე, კვირა, თვე, კვარტალი, წელი;

ო) ალტერნატიული წინადადება – ტენდერში ან ფასთა გამოკითხვაში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი განსხვავებული ტექნიკურ-ხარისხობრივი მახასიათებლების მქონე სატენდერო წინადადება ან/და შეთავაზებული განსხვავებული ტექნიკური ან ორგანიზაციული გადაწყვეტილება;

პ) ლოტი – ერთი შესყიდვის ფარგლებში გამოყოფილი შესყიდვის ობიექტი;

ჟ) ტენდერი – შესყიდვის საშუალება, რომლის დროს მიმწოდებლის შერჩევას სატენდერო წინადადებების შეფასების საფუძველზე ახდენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია;

რ) ფასის კლების ბიჯი – ფასის კლების ბიჯი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 0,4 პროცენტიდან 2 პროცენტამდე ოდენობით.

მუხლი 4. შემსყიდველი ორგანიზაციის უფლება-მოვალეობანი

1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

ა) ამ წესის დაცვით შეარჩიოს მიმწოდებელი და დადოს მასთან შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება);

ბ) ამ წესის შესაბამისად მოახდინოს პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია;

გ) ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვა.

2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების ფარგლებში;

ბ) დაიცვას პრეტენდენტთა მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

გ) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

მუხლი 5. შესყიდვების დაგეგმვა

1. ამ წესით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის შესყიდვებს შემსყიდველი ორგანიზაცია ახორციელებს შესყიდვების გეგმის შესაბამისად.

2. შესყიდვების გეგმის შემუშავების/კორექტირების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა;

ბ) მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა ან გასაწევი მომსახურების მოცულობა;

გ) შესყიდვის პროცედურების სავარაუდო ვადები და ადგილი;

დ) მსგავსი შესყიდვის განხორციელების გამოცდილება;

ე) შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულება.

3. შესყიდვების გეგმა უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის ბიუჯეტის/რეაბილიტაციის გეგმის შესაბამის მაჩვენებლებს.

მუხლი 6. შესყიდვის საშუალებები

1. შესყიდვის ობიექტის შესყიდვის საშუალებები: გამარტივებული შესყიდვა, ფასთა გამოკითხვა და ტენდერი. შესყიდვის საშუალება შეირჩევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წარდგენილი შესყიდვის განაცხადის საფუძველზე.

2. გამარტივებული შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს, თუ:

ა) შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს;

ბ) არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს შემსყიდველი ორგანიზაცია, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს შემსყიდველი ორგანიზაციის პარტნიორს - სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" 5 დღის ვადაში.;

გ) საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად;

დ) მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა იმავე მიმწოდებლისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველი მიწოდების ღირებულებას.

ე) შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით განსახორციელებელი სამუშაოების, მომსახურების შესყიდვა საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც დროებით არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია.

ვ) ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული შესყიდვა;

ზ) შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით.

თ) შესყიდვა ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი პარტნიორის მიერ განხორციელებული შესყიდვების პროცედურების საფუძველზე შერჩეული მიმწოდებლისაგან (ამ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობები (მ.შ. ერთეული ღირებულებები) შემსყიდველი ორგანიზაციისათვის არ უნდა იყოს იმაზე უარესი, რა პირობებითაც გაფორმდა ხელშეკრულება ამ მიმწოდებელსა და შემსყიდველი ორგანიზაციის 50%-ზე მეტი წილის მფლობელ პარტნიორთან.);

ი) ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების ან/და კომპიუტერული ტექნიკის ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან/და კომპიუტერული ტექნიკით ჩანაცვლება/გაცვლა; ასეთ შემთხვევაში ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალების ან/და კომპიუტერული ტექნიკის ღირებულების ნაწილი ანაზღაურდება ჩასანაცვლებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების ან/და კომპიუტერული ტექნიკის მიმწოდებლისათვის დაბრუნებით ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გადაცემით, რომელიც ახდენს მსგავსი პროდუქციის (საქონლის) რეალიზაციას.

3. შესყიდვის განხორციელება დასაშვებია წერილობითი ხელშეკრულების გარეშე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თუ

ა) ერთეული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს,

ბ) ხორციელდება ინტერნეტით გამოწერის გზით საქონლის ან მომსახურების შესყიდვა;

გ) ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული შესყიდვა;

დ) შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით;

ე) შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სხვა შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია დებს წერილობით ხელშეკრულებას.

5. შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ფასთა გამოკითხვის საშუალებით, თუ:

ა) შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან შესასყიდი საქონლის მწარმოებელი კომპანიების ან/და მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური დილერები და შესყიდვა ხორციელდება მწარმოებელი კომპანიებისაგან ან/და მათი დილერებისაგან. მოსაწვევ პირებს განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია;

ბ) შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) ლარს.

გ) შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან შესასყიდი მომსახურების გაწევაში რეგიონალურ ან მსოფლიო მასშტაბით აღიარებული კომპანიები და შესყიდვა ხორციელდება უშუალოდ ამ კომპანიებისაგან. მოსაწვევ პირებს განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია;

6. ფასთა გამოკითხვის საშუალებით შესყიდვისას მოწვევა ფასთა გამოკითხვაში მონაწილეობისათვის წერილობით ეგზავნება არანაკლებ სამ სათანადო (წინასწარ შერჩეულ) პრეტენდენტს. მოწვევის გაგზავნა და ფასთა გამოკითხვაში მონაწილის შემოთავაზების (ოფერტის) მიღება ასევე დასაშვებია კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის) გამოყენებით ქართულ, ინგლისურ ან/და სხვა უცხოურ ენებზე. ფასთა გამოკითხვის მოსამზადებელი სამუშაოების დროს შესასყიდ ობიექტზე წარსადგენი ინფორმაცია, რომელშიც შესაძლებელია მოთხოვნილ იყოს ერთეულის და საერთო ფასების, მიწოდების ვადების, ადგილის, მწარმოებელი ქვეყნის, მწარმოებელი ფირმის და სხვა სპეციფიკაციების მინიშნების აუცილებლობა, განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

7. ამ მუხლის მე-2–მე-5 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს ტენდერს.

8. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს კონკრეტული შესყიდვის ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი შესყიდვის საშუალების გამოყენებით კონსოლიდირებულად (ერთობლივად) განხორციელებაზე წერილობით მიმართოს შემსყიდველი ორგანიზაციის 50%-ზე მეტი წილის მფლობელ პარტნიორს მისთვის საჭირო მოცულობების მითითებით და გააფორმოს ხელშეკრულება აღნიშნული პროცედურით შერჩეულ მიმწოდებელთან შესყიდვით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 7. სატენდერო კომისია

1. ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია, რომელსაც ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი არანაკლებ 3 (სამი) წევრის შემადგენლობით.

2. სატენდერო კომისიას თავმჯდომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ დანიშნული პირი.

3. სატენდერო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის პრეტენდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის ახლო ნათესავი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით არსებული პრეტენდენტი იურიდიული პირის დამფუძნებელი ან წევრი, ან/და წევრი, რომელსაც აქვს წილი პრეტენდენტი იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში. აღნიშნულ შემთხვევაში სატენდერო კომისიის შესაბამის წევრს უფლება არა აქვს, მიიღოს მონაწილეობა პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების შერჩევაში და შეფასებაში.

4. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიაში ექსპერტებად და კონსულტანტებად სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

5. სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ ამ ორგანიზაციის თანამშრომელთაგან იქმნება სატენდერო კომისიის აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

6. სატენდერო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. სატენდერო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობითი ფორმით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. სატენდერო კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები.

8. შესყიდვის ობიექტის დაზუსტებული მახასიათებლებისა და სავარაუდო ღირებულების მიღების შემდეგ სატენდერო კომისიის აპარატი შეიმუშავებს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტს და სატენდერო დოკუმენტაციას.

9. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია მტკიცდება სატენდერო კომისიის მიერ განცხადების გამოქვეყნებამდე, რაც აისახება სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ, საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

მუხლი 8. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ტენდერის ჩატარებისას სატენდერო კომისია შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას აქვეყნებს საქართველოს ან/და უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში, რომლებიც ფართოდ ვრცელდება საქართველოს ან/და საერთაშორისო მასშტაბით ქართულ, ინგლისურ ან/და რუსულ ენებზე და შემსყიდველი ორგანიზაციის ვებგვერდზე. სატენდერო წინადადების წარდგენა, ასევე დასაშვებია კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის) გამოყენებით ქართულ, ინგლისურ ან/და სხვა უცხოურ ენებზე

სატენდერო კომისიის აპარატის პასუხისმგებელი პირის ელექტრონულ მისამართზე, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადებაში.

2. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის რეკვიზიტები, მათ შორის, ვებგვერდი;
ბ) შესყიდვის ობიექტის სახეობა, რაოდენობა და ხარისხი, მიწოდების ადგილი და ფორმა, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომელთა მითითებას შემსყიდველი ორგანიზაცია საჭიროდ ჩათვლის შესყიდვის ობიექტის აღწერის მიზნით;

გ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების სასურველი ან სავალდებულო ვადები;

დ) სატენდერო დოკუმენტაციის გატანის წესი, ვადა, ადგილი და ენა;

ე) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, მათი და სატენდერო წინადადებების წარდგენის წესი, ვადა, ადგილი და ენა;

ვ) მითითება იმის თაობაზე, რომ დასაშვებია პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში – მითითება იმის თაობაზე, რომ სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება;

ზ) საფასურის განაკვეთი;

თ) სატენდერო კომისიის აპარატის პასუხისმგებელი პირის ელექტრონული მისამართი;

ი) ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი;

კ) ორეტაპიანი ტენდერის დროს მითითება იმის შესახებ, რომ საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე;

ლ) ორეტაპიანი ტენდერის დროს ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადებების შედგენის თაობაზე, მათი წარდგენის წესი (წარდგენის ვადის ჩათვლით) და შეფასებისას მხედველობაში მისაღები მოთხოვნები;

მ) ზეპირ ვაჭრობაზე ფასის კლების ბიჯი;

ნ) გამოიყენება თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ან/და დასაშვებია თუ არა ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარდგენა;

ო) შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნა სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის (გარანტიის) გამოყენების შესახებ, გარანტიის ფორმის ჩათვლით;

პ) ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატის იმ მუშაკთა სამსახურებრივი კოორდინატების შესახებ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, გასცენ დამატებითი ინფორმაცია.

3. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას ამტკიცებს სატენდერო კომისია.

4. სატენდერო კომისია ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას აქვეყნებს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების დასრულებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე.

5. სატენდერო კომისიას უფლება აქვს, შეცვალოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია. ეს ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს იმავე

საინფორმაციო საშუალებებში, რომლებშიც გამოქვეყნდა განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

6. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილი ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არანაკლებ 5 დღისა.

მუხლი 9. საფასურის გადახდისა და დაბრუნების წესი

1. საფასურის გადამხდელები არიან საქართველოს ან უცხო სახელმწიფოთა ფიზიკური და იურიდიული პირები, განურჩევლად საკუთრებისა და სამართლებრივი ფორმისა, რომლებსაც გააჩნიათ სურვილი, მიიღონ მონაწილეობა ტენდერში.

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა საფასური 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე.

3. საფასურის გადახდა წარმოებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებულ ანგარიშზე.

4. საფასური უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის თაობაზე;

ბ) თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო საფასურის გადამხდელი პირისათვის სატენდერო დოკუმენტაციის დროულად გადაცემა.

5. ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში საფასურის დაბრუნების საფუძველი არის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება.

6. სატენდერო კომისიის მიერ საფასურის დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში:

ა) გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

ბ) სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება საფასურის დაბრუნების თაობაზე აისახება კომისიის სხდომის ოქმში და ოქმიდან ამონაწერის სახით გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში უშუალოდ, ან დაზღვეული საფოსტო გზაზე გზავნილით გადაეცემა შესაბამის პრეტენდენტს;

გ) სატენდერო კომისიის სხდომის გადაწყვეტილების (საფასურის დაბრუნების თაობაზე) საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღის ვადაში შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს თანხის დაბრუნება საფასურის გადამხდელი პირისათვის.

7. საფასურის გადამხდელს უფლება აქვს:

ა) მის მიერ გადახდილი საფასურის ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ მოთხოვნისთანავე მიიღოს სატენდერო დოკუმენტაცია;

ბ) სატენდერო დოკუმენტაციის მიღების შემთხვევაში დადგენილი წესით წარუდგინოს სატენდერო კომისიას თავისი სატენდერო წინადადება;

გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ან ქმედება, დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის მიღებასთან ან საფასურის გადახდასა და დაბრუნებასთან.

მუხლი 10. სატენდერო დოკუმენტაცია

1. სატენდერო კომისია ქართულ ან/და უცხოურ ენებზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას ამტკიცებს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებამდე.

2. სატენდერო დოკუმენტაცია არის დოკუმენტთა პაკეტი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის, სატენდერო პროცესისა და დასაბედი ხელშეკრულების ძირითადი პირობების თაობაზე და შედგენილი უნდა იქნეს ამ წესის მოთხოვნათა დაცვით დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

3. პრეტენდენტის მიერ საფასურის გადახდის შემდეგ სატენდერო კომისია პრეტენდენტს მოთხოვნისთანავე გადასცემს სატენდერო დოკუმენტაციას.

4. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

ა) პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების შედგენის, წარდგენის და შეფასების წესებსა და კრიტერიუმებს, ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტებს;

ბ) შესასყიდი საქონლის ან მომსახურების მოცულობას, სავალდებულო ან სასურველ ვადებს ან/და გრაფიკსა და ადგილს;

გ) შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობასა და ტექნიკურ მოთხოვნებს;

დ) სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშების წესს;

ე) მითითებას იმ კონვერტირებადი ვალუტის შესახებ, რომელშიც უნდა იყოს გაანგარიშებული სატენდერო წინადადების ფასი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებების ფასის გაანგარიშება დაშვებულია სხვადასხვა ვალუტაში, მითითებას მათი ეროვნული ვალუტის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის თაობაზე;

ვ) მითითებას იმის შესახებ, დასაშვებია თუ არა ალტერნატიული წინადადებების წარდგენა;

ზ) მითითებას პრეტენდენტების მიერ სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ, შესაბამისი პროცედურების აღწერას, შემსყიდველი ორგანიზაციის იმ თანამშრომელთა ვინაობასა და საკონტაქტო კოორდინატებს, რომელთაც უფლება აქვთ, იქონიონ კავშირი პრეტენდენტებთან და მიაწოდონ მათ ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ. ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შემთხვევაში – ინფორმაციას იმის შესახებ, აპირებს თუ არა შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო წინადადებების მიღების დაწყებამდე პრეტენდენტების საერთო კრების ჩატარებას ან/და შესყიდვის შესრულების ადგილის დათვალეიერებისათვის მათ მოწვევას, კრების ჩატარების (დათვალეიერების) ადგილისა და თარიღის მითითებით;

თ) მოთხოვნას სატენდერო წინადადებების მოქმედების ვადის განსაზღვრის თაობაზე. ვადის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ტენდერის ხანგრძლივობა, ხელშეკრულების დადების სავარაუდო ვადა და ამ პროცესში შესაძლო დაბრკოლებები;

ო) შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის (გარანტიის), ხელშეკრულების შესრულების გარანტირების, შესყიდვის ობიექტისა და ხელშეკრულების შესრულების ცალკეული ეტაპების დაზღვევის თაობაზე, წარსადგენი გარანტიების ღირებულების ოდენობისა და ფორმის, დაზღვევის პირობების ჩათვლით;

კ) მითითებას პრეტენდენტების უფლებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სატენდერო წინადადების გატანასთან, მასში ცვლილებების შეტანასთან, წარდგენილი გარანტიებისა და გადახდილი საფასურის დაბრუნებასთან, წარმოქმნილი პრეტენზიების გასაჩივრებასთან;

ლ) მითითებას შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებაზე, შეწყვიტოს ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე შესყიდვის განხორციელება, ან უარყოს ყველა სატენდერო წინადადება;

მ) ნებისმიერ სხვა შესაბამის მოთხოვნას, რომელიც შეიძლება გააჩნდეს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო წინადადებების მიმართ.

5. სატენდერო კომისია პრეტენდენტის წერილობითი თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით განმარტავს ან/და აზუსტებს სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის პროცედურებსა და ობიექტთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რაც ფორმდება სატენდერო დოკუმენტაციის დამატების სახით და ერთდროულად ეგზავნება ყველა პრეტენდენტს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 3 დღისა. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტმა სატენდერო დოკუმენტაცია გაიტანა ამ ვადის გასვლის შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაციის დამატება მას გადაეცემა სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად; ამასთან, პრეტენდენტს აღარ აქვს უფლება, მიმართოს კომისიას სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის პროცედურებსა და ობიექტთან დაკავშირებული ინფორმაციის განმარტებისა და დაზუსტების მოთხოვნით.

6. პრეტენდენტის მიერ საფასურის გადახდის შემდეგ სატენდერო კომისია ვალდებულია პრეტენდენტს მოთხოვნისთანავე გადასცეს სატენდერო დოკუმენტაცია.

მუხლი 11. სატენდერო წინადადებების შერჩევა და ტექნიკური შესაბამისობის დადგენა

1. სატენდერო წინადადებების გახსნისა და ფასების გამოცხადების შემდეგ პირველ რიგში უნდა განხორციელდეს მათი შერჩევა. შერჩევის მიზანია, წარდგენილი სატენდერო წინადადებებისა და თანმხლები დოკუმენტების სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2. შერჩევის პროცესში სატენდერო კომისია ახდენს სატენდერო წინადადებების კლასიფიცირებას შემდეგ კატეგორიებად:

ა) სატენდერო წინადადებები, რომლებიც შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს;

ბ) სატენდერო წინადადებები, რომლებიც მნიშვნელოვანი შეცდომის ან სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის გამო ვერ ჩაითვლება მისაღებად.

3. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და ტექნიკური შესაბამისობის დადგენის მიზნით არ დაიშვება განხილვისათვის იმ შემთხვევებში, თუ:

ა) სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან დადასტურებას;

გ) შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

4. წინადადებების შერჩევის შემდეგ სატენდერო კომისია ახდენს მათ დეტალურ განხილვასა და შესწავლას ტექნიკური შესაბამისობის დადგენის მიზნით. სატენდერო კომისიას უფლება აქვს, სატენდერო წინადადებების განხილვისათვის მოიწვიოს ექსპერტები და კონსულტანტები. სატენდერო წინადადებების ან/და ექსპერტების დასკვნების განხილვა ხდება სატენდერო კომისიის სხდომებზე. საჭიროების შემთხვევაში სატენდერო კომისიას შეუძლია მოიწვიოს პრეტენდენტი ან მისი წარმომადგენელი მის წინადადებასთან დაკავშირებით საჭირო ახსნა-განმარტებების მიღების მიზნით.

5. შეფასებისათვის დაიშვება მხოლოდ იმ პრეტენდენტების სატენდერო წინადადებები, რომლებიც გაივლის შერჩევის პროცესს და ტექნიკურად შეესაბამება ტენდერში მოთხოვნილ ტექნიკურ პირობებს.

მუხლი 12. ზეპირი ვაჭრობის ჩატარების წესი და პირობები

1. ზეპირი ვაჭრობა გაიმართება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო განცხადებაში მითითებულ ადგილზე, ხოლო ზეპირი ვაჭრობის დაწყების კონკრეტული დრო წერილობით უნდა ეცნობოს შეფასებაზე დაშვებულ პრეტენდენტებს შერჩევის პროცედურის დასრულებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა. იმ შემთხვევაში თუ შეფასებაზე დაშვებული იქნა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი ზეპირი ვაჭრობის ჩატარება სავალდებულო არ არის.

2. სატენდერო კომისია ვალდებულია ზეპირ ვაჭრობაზე მოიწვიოს ის პრეტენდენტები, რომლებიც შერჩევისა და ტექნიკური შესაბამისობის დადგენის პროცედურების დასრულების შემდეგ დაიშვებიან შეფასებაზე.

3. ზეპირი ვაჭრობის გამართვის დროს სატენდერო კომისია წარუდგენს ზეპირი ვაჭრობის მონაწილე პრეტენდენტებს მათ მიერ სატენდერო წინადადებებით წარდგენილ ფასებს ან/და ერთეულის ფასებს. ვაჭრობის მონაწილე თითოეულ პრეტენდენტს უფლება აქვს, სამჯერ მოახდინოს თავის მიერ დაფიქსირებული ფასის შემცირება არანაკლებ სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯით განსაზღვრული ოდენობისა.

4. ზეპირ ვაჭრობაში მონაწილე პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადების ფასის ცვლა ხორციელდება რიგითობით. სატენდერო წინადადების ფასის ცვლას თითოეულ რაუნდზე იწყებს უმაღლესი სატენდერო წინადადების ფასის მქონე და რიგითობის პრინციპით აგრძელებს ყოველი წინაზე უფრო დაბალი ფასის წარმდგენი.

5. ზეპირ ვაჭრობაში დაფიქსირებული სატენდერო წინადადებების შემცირებული ფასები აისახება სატენდერო კომისიის შესაბამის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სატენდერო კომისიის დამსწრე კომისიის წევრები და მონაწილე პრეტენდენტები. პრეტენდენტების მიერ ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა განიხილება, როგორც უარი ზეპირ ვაჭრობაზე მის მიერ დაფიქსირებულ შემცირებულ ფასზე და ძალაში დარჩება მისი სატენდერო წინადადების პირვანდელი ფასი.

6. პრეტენდენტის მოთხოვნის შემთხვევაში სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს ზეპირი ვაჭრობის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით) წარმართვა ზეპირი ვაჭრობისათვის გამოყოფილ ვადებში.

7. ზეპირი ვაჭრობის საბოლოო ფასების დაფიქსირების შემდეგ სატენდერო წინადადებების შეფასება მოხდება ამავე წესის შესაბამისად.

8. ფასთა გამოკითხვის საშუალებით შესყიდვის ობიექტის შესყიდვის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ზეპირი ვაჭრობის წესი.

მუხლი 13. სატენდერო წინადადებების შეფასების წესი

1. ზეპირი ვაჭრობის შედეგად სატენდერო წინადადებების საბოლოო ფასების დადგენის შემდეგ სატენდერო კომისია ახდენს სატენდერო წინადადებების შეფასებას სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული კრიტერიუმების მიხედვით, ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად დაშვებულია სატენდერო წინადადებების ფასის დაფიქსირება სხვადასხვა კონვერტირებად ვალუტაში, სატენდერო წინადადებების განხილვის დროს უნდა მოხდეს მათი გადაყვანა ეროვნულ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის შესაბამისად.

3. შეფასებისათვის გამოყენებული კრიტერიუმები შეიძლება ეხებოდეს როგორც უშუალოდ პრეტენდენტებს, ასევე მათ მიერ წარდგენილ წინადადებებს.

4. პრეტენდენტების შეფასების მიზანია მათი ფინანსური მდგომარეობის, ტექნიკური შესაძლებლობების, პერსონალის კვალიფიკაციის, რეპუტაციის, გამოცდილების და სხვა მონაცემებისა და მახასიათებლების შედარება.

5. სატენდერო წინადადებების შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სატენდერო წინადადების ღირებულება;

ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები;

გ) შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი პარამეტრები და ფუნქციონალური მახასიათებლები;

დ) ანგარიშსწორების ფორმები და პირობები;

ე) შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ მის ექსპლუატაციასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან, რემონტთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებასაც მიზანშეწონილად ჩათვლის სატენდერო კომისია.

6. შეფასებისას გამოყენებულ თითოეულ კრიტერიუმს უნდა გააჩნდეს ციფრობრივად გამოსახული ხვედრითი წონა ჯამურ შეფასებაში (პრიორიტეტულობის მაჩვენებელი), რომელიც უნდა გამოიხატოს კოეფიციენტის სახით. ამასთან, ყველა კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტების ჯამი უნდა უდრიდეს ერთ მთელს.

7. სატენდერო კომისიის თითოეული წევრი წერილობითი ფორმით აფასებს ყოველი პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას ცალ-ცალკე, ყოველი კრიტერიუმის მიხედვით,

ათქულიანი სისტემით. თითოეული კრიტერიუმის მიხედვით პრეტენდენტისათვის მინიჭებული ქულა მრავლდება ამ კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტზე, ხოლო მიღებული ნამრავლების დაჯამებით გამოითვლება თითოეული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ჯამური შეფასება. სატენდერო კომისიის წევრის მიერ ერთ-ერთი პრეტენდენტისათვის მინიჭებული ყველაზე მაღალი ჯამური შეფასება ჩაითვლება ამ პრეტენდენტისათვის მიცემულ ხმადად. სატენდერო კომისიის წევრები თავიანთ შეფასებას ადასტურებენ ხელმოწერით.

8. თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის სატენდერო წინადადება მიიღებს ერთნაირ შეფასებას, სატენდერო კომისიის წევრი ადარებს ქულებს კრიტერიუმების მიხედვით და უპირატესობას ანიჭებს იმ პრეტენდენტს, რომელსაც მეტი ქულა აქვს მიღებული უფრო მაღალი კოეფიციენტის მქონე კრიტერიუმის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ შეფასება აბსოლუტურად იდენტურია, სატენდერო კომისიის წევრმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელს ანიჭებს უპირატესობას და წერილობით დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

9. გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელსაც სატენდერო კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა მიანიჭებს უპირატესობას. სატენდერო კომისიის წევრებს შორის ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

10. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც თან ერთვის კომისიის წევრთა წერილობითი შეფასებები. ოქმში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია სატენდერო წინადადებების განხილვაში მონაწილე პირებისა და ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების შესახებ, აგრეთვე პრეტენდენტების მიერ წარდგენილი წინადადებების მოკლე აღწერა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

11. გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა სატენდერო კომისია აცნობებს შედეგებს ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტს და იწვევს გამარჯვებულს ხელშეკრულების დასადებად.

12. შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ვალდებული, შესყიდვის მონაწილე პირებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულებანი ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა ეს გადაწყვეტილება, აგრეთვე აუნაზღაუროს მათ შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები, გადახდილი მომსახურების საფასურის გარდა.

13. პრეტენდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი.

მუხლი 14. ორეტაპიანი ტენდერი

1. ორეტაპიანი ტენდერი შეიძლება ჩატარდეს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, როდესაც მას მიზანშეწონილად მიაჩნია, ტენდერის პირველ ეტაპზე შემოთავაზებული პრეტენდენტების ტექნიკური წინადადებების გათვალისწინებით, სრულყოფის და შეადგინოს საბოლოო სატენდერო დოკუმენტაცია.

2. ორეტაპიანი ტენდერის პირველ ეტაპზე პრეტენდენტები დახურულ კონვერტში წარადგენენ ტექნიკურ სატენდერო წინადადებებს ან/და ალტერნატიულ ტექნიკურ წინადადებებს შესაბამისი აღნიშვნით, ღირებულების მითითების გარეშე.

3. ორეტაპიანი ტენდერის პირველ ეტაპზე სატენდერო კომისიას უფლება აქვს, გამართოს მოლაპარაკებები პრეტენდენტებთან პირველადი სატენდერო წინადადებების ნებისმიერი პირობის დაზუსტებისა და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით.

4. პირველადი სატენდერო წინადადების განხილვის შედეგად სატენდერო კომისია ადგენს სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტს და გადასცემს მას პრეტენდენტს საფასურის გადახდის შემდეგ, რომელიც გადაიხდება სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებულ სპეციალურ ანგარიშზე პირველადი სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე.

5. სატენდერო კომისია ვალდებულია საფასურის გადახდისთანავე გადასცეს პრეტენდენტს პირველადი სატენდერო დოკუმენტაცია.

6. წარდგენილი სატენდერო წინადადებების შერჩევას, განხილვასა და შეფასებას სატენდერო კომისია მოახდენს ამავე წესის მე-11, მე-12 და მე-13 მუხლების დაცვით.

მუხლი 15. შესყიდვის ობიექტის აღწერის წესები

1. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში, სატენდერო დოკუმენტაციასა და შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებში შესყიდვის ობიექტის აღწერა უნდა იყოს მკაფიო და გასაგები.

2. შესყიდვის ობიექტის აღწერისათვის გამოყენებული ტექსტური მასალები, სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები, აღწერილობა და სხვა ობიექტურად უნდა ასახავდეს შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ და ხარისხობრივ პარამეტრებს, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტულ მაჩვენებლებს, მოთხოვნებს, ტერმინოლოგიასა და პირობით აღნიშვნებს (თუ ასეთები არსებობს).

მუხლი 16. სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფა

1. სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, გამოიყენოს გარანტირების მექანიზმი სატენდერო წინადადების ღირებულების 3 პროცენტის ოდენობით. ცალკეულ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაძლებელია განსაზღვრული იყოს გარანტიის განსხვავებული ოდენობა. ამ შემთხვევაში ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ვალდებული არიან წარუდგინონ შემსყიდველ ორგანიზაციას თავისი სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის გარანტიები, საბანკო გარანტია, ბანკის მიერ დამოწმებული ჩეკი, აკრედიტივი და სხვა.

2. გარანტირების მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში შემსყიდველმა ორგანიზაციამ სატენდერო დოკუმენტაციაში ან ფასთა გამოკითხვაში მონაწილეობისათვის შეტყობინებაში უნდა ასახოს კონკრეტული მოთხოვნები გარანტიის ღირებულებითი ოდენობის, მისი ფორმის, გარანტიის გამცემი ორგანიზაციების მიმართ.

3. საგარანტიო მოთხოვნა თანაბრად უნდა ეხებოდეს შესყიდვის პროცედურაში მონაწილე ყველა პრეტენდენტს.

4. გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

5. გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს სატენდერო წინადადებასთან ერთად.

6. შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პირთათვის გარანტიების დამადასტურებელი დოკუმენტების დაბრუნება ხელშეკრულების ამოქმედების დღიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

7. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია მიიღებს გადაწყვეტილებას შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის თაობაზე, პრეტენდენტებს გარანტიების დამადასტურებელი დოკუმენტები უკან უბრუნდებათ მოთხოვნისთანავე.

8. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა ამოიწურა წინადადებების შეფასების დასრულებამდე და პრეტენდენტმა უარი განაცხადა ამ ვადის გაგრძელებაზე, პრეტენდენტს გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტები უკან უბრუნდება მოთხოვნისთანავე.

9. გარანტიის დაუბრუნებლობისა და გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემსყიდველი ორგანიზაცია, თუ:

ა) წინადადებების გახსნის შემდეგ პრეტენდენტმა უარი განაცხადა შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობაზე (თავისი წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე);

ბ) გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების დადებაზე;

გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

მუხლი 17. არშემდგარი და უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერი

1. ტენდერი ითვლება არშემდგარად, თუ დადგენილ ვადებში არ იქნა წარდგენილი არც ერთი პირის საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება.

2. ტენდერი ითვლება უარყოფითი შედეგით დასრულებულად, თუ:

ა) არც ერთი პირის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს;

3. არშემდგარი და უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია გამოიყენოს ამ წესით განსაზღვრული შესყიდვის განხორციელების სხვა საშუალება.

მუხლი 18. ხელშეკრულების პირობები

1. მიმწოდებლებთან დასადებ შესყიდვის ხელშეკრულებაში სასურველია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი საკითხები და პირობები:

ა) ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები;

ბ) ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რაოდენობა, ერთეულის ან/და მთლიანი ღირებულება;

გ) ხელშეკრულების ჯამური ღირებულება (ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით);

დ) შესყიდვის ობიექტის ხარისხი. საჭიროების შემთხვევაში, არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობა;

ე) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი;

ვ) შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი;

ზ) ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები);

თ) ხელშეკრულების შესრულების გარანტია (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში);

ი) მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

კ) მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის;

ლ) ფორს-მაჟორული სიტუაციები;

მ) ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა;

ნ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა;

ო) დავების გადაწყვეტის წესი;

პ) ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

მუხლი 19. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით შემსყიდველი ორგანიზაცია გამოყოფს შესაბამის პირს ან პირთა ჯგუფს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის (პირთა ჯგუფის) ფუნქციებია:

ა) მიმწოდებელთან მოლაპარაკების საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების კონტროლის გეგმა-გრაფიკის შედგენა;

ბ) მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების ორგანიზაცია;

გ) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

დ) ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის) გაფორმების საფუძველზე (თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), გარდა ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის,

ნედლეულისა და მაკომპლექტებელი ნაწილების ხარისხისა და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების (მომსახურების) ინსპექტირება.

5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაცია ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ინსპექტირების ჩატარების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი ორგანიზაცია.

6. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასა და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმებამდე შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მიწოდებული საქონლის ან მომსახურების საბოლოო შემოწმებას (თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან, ხელშეკრულების პირობებთან, მოწონებულ ნიმუშებთან, არსებულ სტანდარტებთან. საბოლოო შემოწმების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულების პირობებით. საბოლოო შემოწმების პროცესში ხელშეკრულების მხარეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ მოიწვიონ დამოუკიდებელი ექსპერტები. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი (დაწუნებული საქონლის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით).

8. საბოლოო შემოწმების შედეგები უნდა ეცნობოს მიმწოდებელს წერილობითი სახით, დაწუნებული შესყიდვის ობიექტისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

9. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ პირს (ან პირთა ჯგუფს) შორის წარმოიშობა უთანხმოება, იგი უნდა გადაწყდეს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და მიმწოდებელს შორის უთანხმოების განხილვის მეშვეობით, ხოლო ამ გზით საკითხის მოუგვარებლობის შემთხვევაში – სასამართლო წესით.

10. ტრანსპორტირების პროცესში საქონლის დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულების პირობებით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი).

12. ანგარიშსწორება შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

13. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს წინასწარ ანგარიშსწორებას. წინასწარი გადახდის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იქნეს წინასწარ გადასახდელი თანხის პროცენტული ოდენობა შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებასთან მიმართებაში.

14. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში (გარდა აკრედიტივის ფორმით ანგარიშსწორებისა) მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია იმ ფორმითა და მოქმედების ვადით, რომლებიც ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება წინასწარი ანგარიშსწორებისას გარანტირების მექანიზმის გამოუყენებლობის თაობაზე პოტენციური მიმწოდებლის საქმიანი რეპუტაციისა ან/და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით.

15. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არღვევს ხელშეკრულების პირობებს და საქართველოს კანონმდებლობით (თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი) გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 20. შესყიდვების შესახებ ანგარიში

1. განხორციელებული შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულებების თაობაზე ანგარიში ყოველკვარტალურად წარედგინება ორგანიზაციის პარტნიორს - სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" არა უგვიანეს მომდევნო კვარტალის პირველი თვის 30 რიცხვისა.

2. ანგარიშში მითითებული უნდა იქნეს შესყიდვის საშუალება (ფასთა გამოკითხვა, გამარტივებული შესყიდვა), ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, მიმწოდებელი, შესყიდვის ობიექტის დასახელება, სავარაუდო ღირებულება (ბიუჯეტი), ხელშეკრულების ღირებულება, ბიუჯეტში დარჩენილი რეზერვი, პირობითი დანაზოგი.

3. შესყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული შესყიდვების გეგმა 10 დღის ვადაში წარედგინება ორგანიზაციის პარტნიორს - სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას". გარდა ამისა, ყოველი კალენდარული თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში, მასვე წარედგინება ინფორმაცია შესყიდვების გეგმაში შესაბამის თვეში განხორციელებული ცვლილების შესახებ, ასეთი ცვლილების არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 21. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის (შესრულების) გარანტირების მექანიზმი ან დაზღვევის მოთხოვნა. გარანტიის ოდენობა არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები.

2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების უზრუნველყოფის (შესრულების) გარანტირების მექანიზმი ან დაზღვევის მექანიზმის გამოუყენებლობის თაობაზე პოტენციური მიმწოდებლის საქმიანი რეპუტაციისა ან/და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით.

3. ხელშეკრულების შესრულების გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ დადგენილი თანხის ოდენობის საბანკო გარანტიის, ბანკის მიერ დამოწმებული ჩეკის ან აკრედიტივის, ან გარანტიის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარდგენა.

4. გარანტიის მოქმედების ვადა და მისი დაბრუნების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

5. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, უარი განაცხადოს ისეთ დაზღვევაზე, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებს არ შეესაბამება.

მუხლი 22. დავების გადაწყვეტა

1. შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველ და პრეტენდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ გაასაჩივრონ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები სასამართლო წესით.

2. სასამართლოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავები განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. თუ მიმწოდებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვა შესაძლებელია განხორციელდეს საარბიტრაჟო გარჩევის გზით.